



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**
The European Union for Georgia



L

**არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების
გაძლიერებით მათი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების
მიღების პროცესში
ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე
(ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი)**

**ENSURING PARTICIPATORY DECISION MAKING PROCESSES AT REGIONAL
AND NATIONAL LEVELS BY EMPOWERING NGOs/CSOs**

**ევროკავშირის 2014-2020 წწ-ის თემატური პროგრამა „სამოქალაქო
საზოგადოების ორგანიზაციები და
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები“**

**THEMATIC PROGRAMME - CIVIL SOCIETY ORGANISATIONS AND LOCAL
AUTHORITIES 2014-2020**

**EuropeAid/155271/DDIACTIGE / CSO-LA/2017/155271-1/3
GRANT CONTRACT of Dec-14/18, 2017 No. ENI/2017/393903**

პროექტის მიმოხილვა /მიღწევები Project Review /Implemented activities

განმახორციელებელი ორგანიზაციები:

- წამყვანი ორგანიზაცია- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები - საქართველო
- „სითი ინსტიტუტი საქართველო“;
- რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი -„თაობათა დიალოგი“
- „საზოგადოებრივი დამცველი“.
- **სამიზნე რეგიონები /24 მუნიციპალიტეტი:** მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი.

პროექტის ხანგრძლივობა : 30 თვე/01.02.2018-31.07.2020

ძირითადი მიზნები

- პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ჩართულობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით, როგორც რეგიონულ (ადგილობრივ), ასევე, ეროვნულ დონეებზე;
- მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას ევროკავშირის დირექტივებთან დაკავშირებით და ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მხარდაჭერას;
- სოციალური ჯგუფების მობილიზაციას; მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მხარეებში არასამთავრობო/სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელის დაარსებას;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების უნარების შემუშავებას/გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.


აქტივობები

განხორციელების მექანიზმები

- საზოგადოების ჩართულობის გაზრდა გადანყვეტილების მიღების პროცესში:
- საზოგადოების ინფორმირება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება პროცესებთან რომელიც ეხება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესებს, რათა ობიექტურად შეაფასონ ეს პროცესები გამომდინარე მათი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელიდან.
- დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებულ პროცესებში.(სკრინინგი,სკოპინგი,გარემოსდაცვითი გადანყვეტილება, ევრო დირექტივები, ადგილობრივი კანონმდებლობა-დაკავშირებული შრომის,ჯანდაცვის ,სივრცითი მონყობის რეგულაციებთან,ორჰუსის კონვენცია და ა.შ.)

აქტივობები/ განხორციელების მექანიზმები

- რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება .
- გამოცდილების გაზიარება (კაზუსების განხილვა თემაზე: მიმდინარე პროცესებში მოსახლეობის პასიური თუ აქტიური ჩართულობის უარყოფითი და დადებითი შედეგები)
- საკონსულტაციო ცენტრების დაარსება 4 სამიზნე რეგიონში - იურიდიული კონსულტაციის გაწევისა თუ სასარჩელო განცხადების შემუშავების მექანიზმების მიწოდება.



საზოგადოების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით, როგორც რეგიონულ (ადგილობრივ), ასევე ეროვნულ დონეებზე.

პროექტის განხორციელების პირველი და მიმდინარე სამუშაო წლის შესრულება

- პროექტის განხორციელების საწყის ფაზაში ჩატარებულ იქნა პროექტის საკოორდინაციო საბჭოსა და ქიქ-ოფ (კიკვ –ოფფ) მონაწილეთა ერთობლივი შეხვედრა . მონაწილეები გაეცვინენ პროექტის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს.
- პროექტის პირველ სამუშაო წელს, პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სულ ჩატარებულ იქნა 27 საინფორმაციო შეხვედრა გზმ, სგშ საკითხებთან დაკავშირებით (*ასევე განხილულ იქნა: სკრინინგი, სკოპინგი,გარემოსდაცვითი გადანაცვითი გადაწყვეტილება, ევრო დირექტივები, ადგილობრივი კანონმდებლობა- დაკავშირებული შრომის,ჯანდაცვის ,სივრცითი მონაცემების რეგულაციებთან, ორჰუსის კონვენცია და ა.შ*) ოთხივე რეგიონში (*მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი*) ყველა სამიზნე ჯგუფთან.
- პროექტის წამყვანი ორგანიზაცია, სამი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო და აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 14 საჯარო განხილვაში. საჯარო განხილვების მთავარ საკითხს წარმოადგენდა ინფრასტრუქტურული თუ სხვა მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით(ონის ვასკადი, ხელედურა,და ა.შ.) საქართველოს გარემოსდაცვითი მეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურების განხილვა.
- პროექტის წამყვანი ორგანიზაცია, სამი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო და აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში გარემოსდაცვითი მეფასების კოდექსიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებასთან დაკავშირებით.
- სულ ჩატარდა 41 შეხვედრა, დამსწრეთა რაოდენობით -1469,ოთხივე სამიზნე რეგიონის 26 მუნიციპალიტეტში ,თვითმმართველი ქალაქის, ქუთაისის,ჩათვლით.

- გაიხსნა რეგიონალური ცენტრები ოთხივე სამიზნე რეგიონში
- მიმდინარეობს პროექტის ვებგვერდზე აქტიური მუშაობა ინფორმაციის განთავსებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განთავსების მიზნით
- პარტნიორი ორგანიზაციის მიერ წარმატებით ჩატარდა სგშ/გზშ საკითხებზე , როგორც მრგვალი მაგიდების ასევე ტრენინგების ციკლი სამიზნე რეგიონებში მუნიციპალიტეტების ჩათვლით
- შემუშავდა პროექტის ბროშურა
- სგშ,გზშ, ტრანსსასაზღვრო და ზოგადად კოდექსის გამკვლევი
- მიმდინარეობას მუშაობა სგშ-ს ტექნიკური დავალების პროექტზე

- სამუშაო სტადიის ბოლო ეტაპზე პროექტის საკვანძო დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსით მოიცავს გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის მიმოხილვას საერთაშორისო გამოცდილების პირისპირ და ადგილობრივ რეგულაციას-გზმ კოდექსს, არსებულ პროცედურებს, კაზუსების განხილვის შედეგად შემუშავებული ე.წ. SWOT ანალიზს და ა.შ. საბოლოო ჯამში შეიძლება სამინისტროს მიერ განხილული იყოს როგორც არსებული კოდექსის კომენტარი/გზამკვლევი.
- პროექტის ფარგლებში ასევე შემუშავდა და გამოიცა შემდეგი დოკუმენტები: კომუნიკაციის სტრატეგია, პროექტის არასამთავრობო/საინიციატივო ჯგუფების მობილიზაციის სახელმძღვანელო, განხილვის პროცესშია ჯანდაცვის სტრატეგია
- პროექტის მიმდინარეობის დასრულებამდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა კაზუსებზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული განაცხადების მიხედვით.
- პროექტის სამუშაო ჯგუფი აქტიურად ადევნებს თვალყურს საზოგადოების ჩართულობის პროცესებს გადანყვეტილების მიღების დროს როგორც ადგილობრივ ასევე რეგიონულ დონეზე.

ისტორიული მიმოხილვა, ასოცირების შეთანხმება


- გარემოსდაცვითი შეფასება, როგორც თვით ინსტიტუცია მთელი რიგი მარეგულირებელი ნორმებით, ჯერ კიდევ სათავეს იღებს აშშ-დან. 1969 წელს დამტკიცებული აქტით („აშშ-ს ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტი
- 1985 წლის 27 ივნისს „ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს დირექტივა 85/337/EEC, რომელიც ეხება გარკვეული საჭარო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას(ცნობილია როგორც ე.წ. გზმ-დირექტივა) და რომლის მეშვეობითაც დადგინა გზმ-ს გარკვეული სტანდარტები ევროპის მასშტაბით.
- აქვე უნდა აღინიშნოს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ 2001 წლის 27 ივნისს მიღებული დირექტივა 2001/42/EC “გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგმ-ს დირექტივა). აღნიშნული დირექტივა საფუძლად დაედო ღრმა და ყოვლისმომცველ მოლაპარაკებებს, რომელიც დასრულდა 2003 წელს კიევში ესპოს კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის მიღებით(საქართველოს მხრიდან ხელმოწერილ იქნა აღნიშნული ოქმი თუმცა ჯერ არ მომხდარა კონვენციის რატიფიცირება).

- საქართველოში გზმ -ს სისტემის ჩამოყალიბების პირველწყაროდ აღიარებულია 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუცია, კერძოდ კონსტიტუციის 37-ე მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, და ა.შ.
- მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 2 სექტემბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ“. საქართველოს კანონმდებლობაში გზმ-ს საკითხებთან დაკავშირებით სპეციფიკური დებულებები შემოტანილ იქნა „გარემოს დაცვის შესახებ „ კანონით (1996 წლის 10 დეკემბერი)ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის ,კონტინენტური შელფის და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

- დეტალური წესები შემოღებულ იქნა „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონით.
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 16 მაისის №59 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ იქნა დებულება "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ".
- გზმ-ს პროცესს ეხება დებულება "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ", დამტკიცებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 14 აგვისტოს №85 ბრძანებით.

- 2018 წელს ასოცირების ხელშეკრულების თანახმად ძალაში შევიდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ,რომელიც მეტ ნაკლებად პასუხობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამონწვევებს.
- აღნიშნული კოდექსის უპირატესობა დიდია ზემოთ მითითებულ გზმ-ს კანონთა ნუსხასთან შედარებით თუნდაც იმ ინსტიტუციური უპირატესობით, რომ ადრე იყო მხოლოდ მარეგულირებელ ნორმათა ჩამონათვალი, როდესაც დღეს კოდექსის საფუძველზე გამოიყვამა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არსებული სიტუაციასა თუ გამონწვევების მიხედვით ,რაც ერთმნიშვნელოვნად ზრდის გარემოზე ზემოქმედებაზე კონტროლის არეალს, როგორც სახელმწიფოს ასევე საზოგადოების მხრიდან, ვინაიდან ამ კანონის უპირატესი საკითხი ეხება საზოგადოების აქტიურ ჩართულობას გადანყვეტილების მიღების პროცესში რაც იმპერატიული ვალდებულებაა სახელმწიფოს მხრიდან. როდესაც განვიხილავთ ადგილობრივ კანონმდებლობას მიზანშეწონილია ასევე თვალი გადავავლოთ საქართველოს მიერ ხელმოწერილ გზმ-ან დაკავშირებით რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებს რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ხელშეკრულებებით:

საქართველოს მხრიდან ჯერ არ მომხდარა ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება/მიერთება, როგორცაა "ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების" კონვენციის ოქმი "სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ" (21.05.2003, კიევი, უკრაინა) და კონვენცია "ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" (25.02.1991, ესპო, ფინეთი). საქართველოს მთავრობა დგამს წარმატებულ ნაბიჯებს ამ ხელშეკრულებებთან მიერთების გზაზე და სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მოახდენს კონვენციათა რატიფიცირებას.



საქართველოს მხრიდან ჯერ არ მომხდარა ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება/მიერთება, როგორცაა "ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების" კონვენციის ოქმი "სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ" (21.05.2003, კიევი, უკრაინა) და კონვენცია "ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" (25.02.1991, ესპო, ფინეთი). საქართველოს მთავრობა დგამს წარმატებულ ნაბიჯებს ამ ხელშეკრულებებთან მიერთების გზაზე და სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მოახდენს კონვენციათა რატიფიცირებას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

- 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს.
- მუხლი 300 -საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXV დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.
- თავი 3-გარემოს დაცვა-მუხლი 302: თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:
 - (a) გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და ტრენინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ზედამხედველობა და აღსრულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა, ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები;
 - (b) ჰაერის ხარისხი;
 - (c) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო;
 - (d) ნარჩენების მართვა;
 - (e) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია;
 - (f) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და
 - (g) ქიმიური ნივთიერებების მართვა; „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმის“ (NEAP)



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები - საქართველო
- სლავა მეტრეველის 4/6, 0112, თბილისი,
- ტელ.: (+995 32) 2306221; მობილური: (+995 99)514071

- ელფოსტა: info@greens.ge; nchkhobadze@yahoo.com; nino.chkhabadze@gmail.com; nino.chkhabadze@greens.ge
- <http://www.cleanup.ge/>; www.greens.ge
- www.facebook.com/საქართველოს-მწვანეთა-მოძრაობაThe-Greens-Movement-of-Georgia-179845652104325